დოკუმენტი დამტკიცებულია
უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 22
სექტემბერი №ძ29 ბრძანებით

დოკუმენტში ცვლილებები შეტანილია
უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 23
სექტემბრის №ძ 34 ბრძანებით, 2021 წლის
18 მაისის №ძ 100 ბრძანებითა და 2025
წლის 13 მარტის №ძ 38 ბრძანებით

# *შპს „ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის“*
# *COVID-19 პანდემიის პირობებში*
# *თანამშრომელთა მზადყოფნისა და რეაგირების გეგმა*

2021 წელი

# სარჩევი


რისკების შეფასება ..... 3

კონტროლის მექანიზმები ..... 4

- ინფიცირების დაბალი რისკის სამუშაო ადგილები: ..... 4

  I. საინჟინრო კონტროლის ღონისძიებები ..... 4

  II. ადმინისტრაციული კონტროლის ღონისძიებები ..... 4

  III. ინდივიდუალური დაცვის საშუალებები ..... 5

- ინფიცირების საშუალო რისკის სამუშაო ადგილები: ..... 5

  I. საფრთხის იზოლირება. ჰიგიენურ-ტექნიკური კონტროლის ღონისძიებები ..... 5

  II. პროცედურები - ადმინისტრაციული კონტროლის ღონისძიებები ..... 7

  III. ინდივიდუალური დაცვის საშუალებები ..... 9

დასკვნითი დებულება ..... 9

*დანართი № 1* ..... 10

*დანართი №2* ..... 12

*დანართი №3* ..... 13

*დანართი №4* ..... 17

## რისკების შეფასება

წინამდებარე გეგმის შედგენას წინ უძღოდა რისკების შეფასების დეტალური პროცესი. მიღებული შედეგები შედარებული იქნა საქართველოს მთავრობის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის ბრძანება №01-227/ო-ს მიხედვით „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების
მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ შემუშავებულ ახალი კორონავირუსით (SARS,SARS-CoVCoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებულ ზოგად რეკომენდაციებთან და დადგინდა, რომ შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული სამუშაოები განეკუთვნება COVID-19-ით თანამშრომელთა ინფიცირების დაბალ და საშუალო რისკის დონეს;

ინფიცირების *<u>დაბალი რისკის სამუშაო ადგილები</u>* ისეთი ადგილებია, სადაც მომუშავეებს არ მოეთხოვებათ COVID-19-ით დაინფიცირებულ, ან ვირუსით დაინფიცირებაზე საეჭვო პირებთან კონტაქტი, და არც ხშირი და ახლო კონტაქტი მოეთხოვებათ ფართო საზოგადოებასთან. ამ კატეგორიას მიკუთვნებულ მომუშავეებს მინიმალური კონტაქტი აქვთ სამუშაო ადგილზე ფართო საზოგადოებასთან ან სხვა თანამშრომლებთან.

ინფიცირების *<u>საშუალო რისკის სამუშაო</u>* მოიცავს ისეთ სამუშაო ადგილებს, სადაც თანამშრომლებს მოეთხოვებათ ხშირი ან/და მჭიდრო კონტაქტის ქონა (2 მეტრზე ნაკლები). აღნიშნული რისკის დონის გათვალისწინებით კომპანია შეიმუშავებს გეგმაში გაწერილ კონტროლის მექანიზმებს და შეეცდება რისკის დონე დაიყვანოს დაბალი რისკის დონემდე. რისკების კონტროლის მექანიზმების შემუშავება განხორციელდა საერთაშორისოდ აღიარებული და შრომის ინსპექციის დეპარტამენტის მიერ რეკომენდებული კონტროლის მექანიზმების იერარქიის მიხედვით:

**კონტროლის მექანიზმების იერარქია:**



## კონტროლის მექანიზმები

საფრთხეებისა და რისკების საერთაშორისო ნორმებში მითითებული იერარქიიდან პირველი ორი საფეხურის - «გამორიცხვა» და «ჩანაცვლება» მსოფლიო პანდემიის პირობებში დაავადებასთან მიმართებაში შეუძლებელია. ამიტომ COVID-19 -ის გავრცელების რისკების სამართავად შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტი იყენებს დარჩენილ სამ საფეხურს: «საფრთხის იზოლირება,» «პროცედურები,» «ინდივიდუალური დაცვის საშუალებები.»

- ***ინფიცირების დაბალი რისკის სამუშაო ადგილები:***

იმ შემთხვევაში თუ შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის სასწავლო და საგამოცდო პროცესი მიმდინარეობს დისტანციური რეჟიმში. შესაბამისად, სამუშაო ადგილზე დასაქმებულთა კონტიგენტი მუშაობს დისტანციურად. ასეთ, შემთხვევაში ინფიცირების დაბალი რისკის მქონე ჯგუფს მიეკუთვნება უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელი. იმ შემთხვევაში თუ შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის სასწავლო და საგამოცდო პროცესი მიმდინარეობს არადისტანციურ რეჟიმში. შესაბამისად, სამუშაო ადგილზე დასაქმებულთა კონტიგენტი მუშაობს არადისტანციურად. ასეთ, შემთხვევაში ინფიცირების საშუალო რისკის მქონე ჯგუფს მიეკუთვნება უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელი.

### I. საინჟინრო კონტროლის ღონისძიებები

დაბალი ინფიცირების რისკის მქონე თანამშრომლების შემთხვევაში, რეკომენდირებული არ არის დამატებითი საინჟინრო კონტროლის ღონისძიებების გატარება. საინჟინრო კონტროლის ღონისძიებების არსებული საშუალებების ფუნქციონირება გაგრძელდება დანიშნულებისამებრ.

### II. ადმინისტრაციული კონტროლის ღონისძიებები

COVID-19-ის შესახებ რეკომენდაციებთან დაკავშირებით საზოგადოებრივი ჯანდაცვის განცხადებების/ინფორმაციის მონიტორინგი მუდმივ რეჟიმში მიეწოდებათ თანამშრომლებს ელექტრონული ფოსტის საშუალებით.
სამუშაო ადგილები უზრუნველყოფილია ხელის დასაბანი საშუალებებით (სულ მცირე 70 % ალკოჰოლის შემცველი ხელის გამწმენდი სითხები).

## III. ინდივიდუალური დაცვის საშუალებები

დამატებით ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება დაბალი რისკის მქონე ჯგუფს მიკუთვნებული თანამშრომლების მიერ რეკომენდირებული არ არის.

- *ინფიცირების საშუალო რისკის სამუშაო ადგილები:*

შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის სასწავლო და საგამოცდო პროცესი მიმდინარეობს ნახევრად- დისტანციურ რეჟიმში ან სასწავლო და საგამოცდო პერიოდისთვის მიმდინარეობს აქტიური მზადება. შესაბამისად, სამუშაო ადგილზე დასაქმებულთა კონტიგენტი გარკვეული ნაწილი მუშაობს არადისტანციურ რეჟიმში. ასეთ, შემთხვევაში ინფიცირების საშუალო რისკის მქონე ჯგუფს მიეკუთვნება უნივერსიტეტის არადისტანცირებულ რეჟიმში მომუშავე თანამშრომლები:

## I. საფრთხის იზოლირება. ჰიგიენურ-ტექნიკური კონტროლის ღონისძიებები

### 1. ვირუსის გავრცელების რისკ ჯგუფის წარმომადგენელი პირების ფიზიკური იზოლირება დანარჩენი თანამშრომლებისგან

რისკ-ჯგუფში შედის ყველა დასაქმებული და ვიზიტორი, თუ:

- მათ დატოვეს ვირუსის გავრცელების ქვეყნები ბოლო 14 დღის განმავლობაში;
- იმყოფებოდნენ დახურული კარანტინის ზონად გამოცხადებულ

  საქართველოს ტერიტორიულ ერთეულებში, ან კონტაქტი ჰქონდათ პირებთან, რომლებიც ამ ერთეულებში ცხოვრობენ (ან დროებით იმყოფებოდნენ);
- ბოლო 14 დღის განმავლობაში მჭიდრო კონტაქტში იმყოფებოდნენ კორონავირუსის მატარებელ პირთან/პირებთან (მათ უნდა გაიარონ თვითიზოლაცია/კარანტინი სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესით);
- აღენიშნებათ რესპირატორული ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომები (ხველა, ტემპერატურა, ცემინება, სუნთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე და ა.შ.);

- მიეკუთვნებიან COVID-19-ით დაინფიცირებისა და გართულებების მაღალი რისკის მქონეებს: 70 წელს გადაცილებული, აგრეთვე, ქრონიკული დაავადებების (გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, დიაბეტი, ბრონქული ასთმა და სასუნთქი ორგანოების სხვა დაავადებები) მქონე პირები.

**დანართი 1** - ში მოცემული კითხვარის მიხედვით  გამოიკითხება პერსონალი. ობიექტზე დაშვების უფლების გამცემი შემოსულ ყველა პირს მოსთხოვს კითხვარის შევსებას და თუ რომელიმე რომელიმე კითხვაზე დადებითი პასუხი არსებობს - არ დაუშვას ეს პირი კომპანიის ტერიტორიაზე (სამუშაო სივრცეში).

## 2. რისკ ჯგუფის წარმომადგენელი პირის აღმოჩენის შემთხვევაში

**დანართი 1** - ით გათვალისწინებული კითხვარის შევსების შედეგად ან დასაქმებულის მიერ სიმპტომების დაფიქსირების, ან ამ გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში გამოვლენილი პირი/პირები დაუყოვნებლივ დატოვებენ შენობის ტერიტორიას და გადაყვანილნი იქნებიან სპეციალურ ტესტირებაზე სამკურნალო დაწესებულებაში, რომლიდანაც გამოძახებული იქნება სპეციალური მანქანა და პერსონალი .

### 1. ტემპერატურის დისტანციურად გაზომვა

კომპანიის ტერიტორიაზე (სამუშაო სივრცეში) შემომსვლელ ყველა პირს ევალება თერმომეტრით გაიზომოს ტემპერატურა სამსახურში გამოცხადებისას და მონაცემები დაარეგისტრირებინოს შესაბამის ჟურნალში. 37 გრადუსზე მაღალი ტემპერატურის აღმოჩენის შემთხვევაში, არ უნდა იქნას დაშვებული სამუშაო სივრცეში

### 2. კომპანიის სამუშაო სივრცის სრული და რეგულარული დეზინფექცია

რეგულარულად, ყოველ სამუშაო დღეს 2 ჯერადად ჩატარდება სადეზინფექციო, სველი წესით დალაგება უნივერსიტეტის ყველა სამუშაო სივრცის და აუდიტორიის, ასევე ჩატარდება კომპანიის სამუშაო სივრცეების დეზინფექცია გარკვეული ინტერვალებით.
დასუფთავდება ასევე საერთო შენახვის უჯრები, კარის სახელურები და ყველა ის ადგილი, სადაც ინტენსიურად ხდება ხელით შეხება
სრული დეზინფექცია ჩატარდება  ყოველი 10-14 სამუშაო დღის შემდეგ;

**3. სამუშაო სივრცის ჰაერაცია/ვენტილაცია**

უნივერსიტეტში არსებული სავენტილაციო სისტემის მეშვეობით მოხდება სრული სამუშაო სივრცის პერიოდული ვენტილაცია სადილის დროს ან შესვენებისას, იმ ადგილებში, სადაც შესაძლებელია ბუნებრივი ვენტილაცია, მოხდება კარებების / ფანჯრების გაღება და ჰაერის განიავება.

**4. სადეზინფექციო საშუალებების ხელმისაწვდომობა**

უნივერსიტეტში სამუშაო სივრცეებში ხელმისაწვდომი იქნება დეზობარიერები, ხელის სადეზინფექციო საშუალებები, ხელთათმანები, ნიღბები.

**5. ნარჩენების მართვა**

ობიექტებზე, გამოყოფილ ადგილებზე განთავსდება სამედიცინო ნარჩენების ურნა/ურნები (აუცილებლად დახურული), შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშანით «მხოლოდ სამედიცინო ნარჩენებისთვის» სადაც მოხდება გამოყენებული პირბადეების და ხელთათმანების განთავსება. სამედიცინო ნარჩენების გატანა მოხდება ნარჩენების მართვის კოდექსის მოთხოვნის მიხედვით შესაბამისი პირის მიერ.

**II. პროცედურები - ადმინისტრაციული კონტროლის ღონისძიებები**

1. **დაუყოვნებლივ დამტკიცდეს ინფექციური დაავადებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების წინამდებარე გეგმა.**

   გეგმა გაუზიარდეს მმართველი გუნდის ყველა წევრს. გეგმაში გაწერილი მოთხოვნები და რეკომენდაციები გაეცნოს ყველა თანამშრომელს ინსტრუქტაჟის სახით.

2. **მუდმივად განახლდეს სამუშაო პრაქტიკა და სპეციფიკა იმ თვალსაზრისით, რომ მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი თანამშრომელთა თავშეყრა და მჭიდრო კონტაქტი.**

გადაიხედოს სამუშაო სივრცეების და თანამშრომელთა არსებული განლაგება. უზრუნველყოფილი იქნას თანამშრომლების სამუშაო ადგილებს შორის მინიმუმ 2 მეტრიანი დისტანცია, ან მოეწყოს განჭვირვალე ბარიერები თანამშრომლებს შორის.
აიკრძალოს თავშეყრის ადგილებში (სასადილო, გამოსაცვლელები და ა.შ.) 5 კაცზე მეტი ადამიანის ერთდროულად თავშეყრა.

3. **შემუშავდა არსებული საგანგებო სიტუაციისას თანამშრომელთა ქცევის სავალდებულო წესები.**

**დანართი 2** -ში მოცემულია თანამშრომელთა ქცევის სავალდებულო წესები. აღნიშნული წესები გაუზიარდეს ყველა დასაქმებულს ინსტრუქტაჟის სახით.

**დანართი 3**- ში მოცემულია ამ გეგმაში გაწერილი მოთხოვნების, ასევე საერთაშორისო და სახელმწიფო რეკომენდაციების გათვალისწინებით შემუშავებული ინსტრუქტაჟის თემატიკა. უზრუნველყოფილ იქნას ყველა თანამშრომლისთვის ინსტრუქტაჟის ჩატარება.

**დანართი 4** - თანამშრომელს ინსტრუქტირებისთვის უნივერსიტეტმა შეიმუშავა სასწავლო მასალები, რომელიც მოიაზრებს პირადი ჰიგიენის დაცვის სწავლებას და მექანიზმებს. სასწავლო მასალებს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახური ახალ და ძველ თანამშრომლებს პერიოდულად ანახლებს და აზიარებს.

4. **მთელს სამუშაო სივრცეში განთავსდეს სავალდებულო / საინფორმაციო ნიშნები**

სამუშაო სივრცეში (დერეფნები, კარებები, კიბის უჯრედები, შესასვლელები, ა.შ.) განლაგდეს სავალდებულო / საინფორმაციო მიმთითებელი ნიშნები, რომლებიც შეახსენებს დასაქმებულებს შემდეგ საკითხებს:

- ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებისა და მისი მოცილების წესი
- პირადი ჰიგიენის (ხელის დაბანვა და სადეზინფექციო ხსნარით დამუშვება) წესები
- დისტანცირება (მინიმუმ 2 მეტრიანი დისტანციის დაცვა სხვა დასაქმებულებთან);
- ფიზიკური კონტაქტის აკრძალვა (გადახვევა, გადაკოცნა, ხელის ჩამორთმევა, ა.შ.);

- საკონტაქტო ინფორმაცია (ვის უნდა დაუკავშირდნენ სიმპტომების აღმოჩენის შემთხვევაში)

## III. ინდივიდუალური დაცვის საშუალებები

მომარაგებულ იქნას საჭირო ინდივიდუალური დაცვის საშუალებები - პირბადეები, ერთჯერადი ხელთათმანები, ხელის სადეზინფექციო ხსნარები. აღნიშნული საშუალებები განთავსდეს ტერიტორიაზე რამდენიმე ხელმისაწვდომ ადგილას, რომელიც ეცოდინება ყველა დასაქმებულს და აღინიშნება შესაბამისი მიმთითებელი ნიშნით.
ინსტრუქტაჟის ჩატარებისას ყველა თანამშრომელს გაეცნოს აღნიშნული ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სწორი გამოყენების წესები.

## დასკვნითი დებულება

ზემოთ ჩამოთვლილი კონტროლის მექანიზმების გატარების შემდეგ უნივერსიტეტი რაც შეიძლება მალე მოახდენს რისკების ხელახალ შეფასებას.

*დანართი № 1*

**სავალდებულოდ შესავსები კითხვარი.**

**ქვემოთ ჩამოთვლილი კითხვებიდან თუ რომელიმეზე გაქვთ დადებითი პასუხი,**

**დაუყოვნებლივ უნდა**

***შეატყობინოთ უშუალო ხელმძღვანელს!***

1. ბოლო 14 დღის განმავლობაში იმყოფებოდით თუ არა საზღვარგარეთ

2. ბოლო 14 დღის განმავლობაში იმყოფებოდით თუ არა იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც გამოცხადებულია კარანტინი

3. ბოლო 14 დღის განმავლობაში მჭიდრო კონტაქტში იმყოფებოდით თუ არა კორონავირუსის მატარებელ პირთან/პირებთან?

4. აღგენიშნებათ თუ არა რესპირატორული ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომები (ხველა, ტემპერატურა, ცემინება, სუნთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე და ა.შ.)?

5. მიეკუთვნებით თუ არა COVID-19-ით დაინფიცირებისა და გართულებების მაღალი რისკის მქონეებს: 70 წელს გადაცილებული, და/ან ქრონიკული დაავადებების (გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, დიაბეტი, ბრონქული ასთმა და სასუნთქი ორგანოების სხვა დაავადებები)?

**ობიექტზე საგანგებო ვითარებაში**

შემოსული/გასული პირების სპეციალური აღრიცხვის ჟურნალი.

| N | შემოწმების დღე | სახელი, გვარი | ტემპერატურა | კონტაქტი (დიახ, არა) | ხელმოწერა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | | |
| 2 | | | | | |

*დანართი №2*

COVID-19 საგანგებო მდგომარეობის პერიოდში კომპანიის სამუშაო სივრცეში

(ტერიტორიაზე) ქცევის წესები

- დაიცავით ჰიგიენის წესები თქვენს სამუშაო ადგილზე;
- სამუშაო პროცესი განახორციელეთ დამსაქმებლის/შრომის უსაფრთხოების მენეჯერის მიერ განსაზღვრული საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმის შესაბამისად;
- მისალმებისას **არ ჩამოართვათ ხელი** ერთმანეთს და მოერიდეთ სხვებთან კონტაქტს (შეხებას და სხვა);
- **მოერიდეთ თავშეყრას,** დაიცავით რეკომენდაცია უსაფრთხო **დისტანციის** დაცვით (არანაკლებ **2 მეტრისა);**
- სამუშაოების შესრულებისას გამოიყენეთ სრულად ის ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, რომელსაც გაწვდით დამსაქმებელი;
- სამუშაოს დაწყებისა და დამთავრებისას სადეზინფექციო საშუალებებით დაასუფთავეთ სამუშაო ადგილები და ის ხელსაწყოები, რომელსაც იყენებთ სამუშაო პროცესის მიმდინარეობისას;
- **ხელის ჰიგიენა ჩაიტარეთ დამატებით აუცილებლად:**

1. საკვების მიღებამდე და მიღების შემდეგ.
2. დახველების ან დაცემინების შემდეგ.
3. თანხის კუპიურებთან და მონეტებთან ხელით შეხების შემდეგ;
4. საპირფარეშოთი სარგებლობის შემდეგ
- გამოიყენეთ სპირტის შემცველი ხელის საწმენდი საშუალებები იმ შემთხვევაში, თუ ვერ ახერხებთ ხელების დაბანას და გაშრობას. გახსოვდეთ, რომ ხელების დაბანა საპნითა და წყლით არის უპირატესი;
- დახველების და დაცემინების დროს მიიფარეთ სუფთა ხელსახოცი ან იდაყვი. გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცი კი გადააგდეთ ურნაში;
- მოერიდეთ ხელებით თვალებზე, ცხვირზე და პირზე შეხებას. მუშაობის პერიოდში მჭიდროდ დაიმაგრეთ თმა, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს თმისა და სახის შეხება;
- გახსოვდეთ, რომ არ არის სასურველი ლითონის საყურეების, ბეჭდების და თმის ჟელეს გამოყენება;
- თუ საქმიანობა ითვალისწინებს ფულის ნიშნებთან და პროდუქციასთან ურთიერთობას, აუცილებელად გამოიყენეთ სხვადასხვა ხელთათმანი. შესაძლებლობის შემთხვევაში ეს საქმიანობა განაწილდეს ორ პირზე.
- აკრძალულია საკუთარი პირადი დაცვის საშუალებების, ტანსაცმლის, პირადი ნივთების, **მობილური ტელეფონის** ***ერთმანეთისთვის თხოვება*** და გაცვლა.

*დანართი №3*

**სანიმუშო თემატიკა მენეჯერებისათვის, რომლებიც პერსონალს უტარებენ ინსტრუქტაჟებს და პასუხიმგებელნი არიან მათ კონტროლზე**

**რა არის კორონავირუსი?**

- ახალი კორონავირუსი წარმოადგენს ვირუსების ჯგუფს, რომელიც თავდაპირველად ადამიანის ინფექცირების წყაროს ცხოველი წარმოადგენს და რომელიც იწვევს რესპირატორულ ინფექციებს, დაწყებული ზოგადი გაციებით, დამთავრებული მწვავე რესპირატორული სინდრომით.

- ვირუსის ადამიანთა შორის გავრცელება პირველად 2019 წლის დეკემბერში დაფიქსირდა ჩინეთში, ჰუბეის პროვინციაში.

**როგორ ვრცელდება კორონავირუსი?**

- აირ-წვეთოვანი გზით - ხველით, ცემინებით - ინფიცირებულ ადამიანთან 1მ ზე ახლოს მიახლოვებით

- თვალზე, პირზე ან ცხვირზე ინფიცირებული ხელის შეხებით, ინფიცირებულებთან მჭიდრო კონტაქტით - შეხება, ხელის ჩამორთმევა
- ფეკალიებთან კონტაქტით

**როგორია კორონავირუსის სიმპტომები?**

- ცხელება, ცემინება, ხველა, სუნთქვის გაძნელება, პნევმონია.

**ვინ არის მაღალი რისკის ქვეშ?**

- 70 წელს გადაცილებული ადამიანები

- ადამიანები მწვავე ქრონიკული დაავადებებით

**როგორია თავდაცვის ფორმები?**

- დაიცავით ჰიგიენის წესები თქვენს სამუშაო ადგილზე;
- დაასუფთავეთ სადეზინფექციო საშუალებებით სამუშაო ზედაპირები, თუ ხელსაწყოები;

- ხშირად დაიბანეთ ხელები საპნით, წყლით ან სპირტის შემცველი ხსნარით თან იქონიეთ ალკოჰოლის შემცველი ანტისეპტური საშუალება
- ხშირად გაწმინდეთ თქვენი ტელეფონის, კლავიატურის, მაგიდის ზედაპირები და კარის ხელსაკიდები ანტიბაქტერიული საშუალებებით.
- მობილური ტელეფონის/ქალაქის ტელეფონის გამოყენებისას გახსოვდეთ, რომ ტელეფონს შეეხეთ ხელებით, რომელიც პოტენციურად ვირუსის გადამტანია. ხშირად გამოიყენეთ სადეზინფექციო საშუალებები.
- მუშაობის პერიოდში მჭიდროდ დაიმაგრეთ თმა, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს თმისა და სახის შეხება,
- შეინარჩუნეთ არანაკლებ 2 მ მანძილი თქვენსა და სხვა ადამიანებს შორის, განსაკუთრებით კი იმ ადამიანებთან, რომლებიც ახველებენ, აცემინებენ ან/და მაღალი სიცხე აქვთ.
- მოერიდეთ სხვებთან კონტაქტს (შეხებას, ჩახუტებას და სხვა) და დაიცავით უსაფრთხო დისტანცია (არანაკლებ 2 მ-სა);

- არ შეეხოთ ხელებით თვალებს, ცხვირსა და პირს ხელებით
- დახველებისას და დაცემინებისას ცხვირზე/ პირზე მიიფარეთ ცხვირსახოცი ან იდაყვი; გამოყენებული ცხვირსახოცი ჩააგდეთ ურნაში.
- თუ გაქვთ სიცხე, ხველა და სუნთქვის გაძნელება, დროულად მიმართეთ ექიმს. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ იმოგზაურეთ იმ ქვეყნებში სადაც გავრცელებულიავირუსი ან ეჭვი გაქვთ, რომ კონტაქტი გქონდათ ვირუსის მატარებელთან.
- ხშირად გაანიავეთ საცხოვრებელი და სამუშაო სივრცეები, დარწმუნდით რომ ჰაერის მიმოქცევა, ტემპერატურა და ტენიანობა ადეკვატურია.
- საკვების მიღებამდე და მიღების შემდეგ, საპირფარეშოში შესვლის და გამოსვლის შემდეგ საფუძვლიანად დაიბანეთ ხელები წყლითა და საპნით და კარგად გაიმშრალეთ
- გამოიყენეთ სპირტის შემცველი ხელის საწმენდი საშუალებები იმ შემთხვევაში, თუ ვერ ახერხებთ ხელების დაბანას და გაშრობას;
- აკრძალულია პირადი დაცვის საშუალებების, ტანსაცმლის, პირადი ნივთების, **მობილური ტელეფონის** ***ერთმანეთისთვის თხოვება*** და გაცვლა.

**უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ჰიგიენისა და ინფექციის კონტროლის სათანადო პრაქტიკის დანერგვას, მათ შორის:**

- მიუხედავად იმისა, არის თუ არა გამოვლენილი ინფექციის შემთხვევა, შეიმუშაოს საგანგებო სიტუაციაში სამოქმედო გეგმა, რაც ხელს შეუწყობს ავადმყოფობის გამო გაცდენილი სამუშაო დღეების შემცირებას, გამოვლენის შემთხვევაში კი - გავრცელების პრევენციას;

- სამუშაოს დაწყების წინ უნდა გააკონტროლოს პერსონალის ჯანმრთელობის მდგომარეობა;

- მიაწოდოს ინფორმაცია ყველა თანამშრომელს და კონტრაქტორს, დასუფთავებაზე პასუხისმგებელ პერსონალს უსაფრთხო მუშაობის პროცედურებისა და ვირუსის გავრცელების პრევენციის შესახებ;

- იქ, სადაც შესაძლებელია სამუშაოს შესრულება განხორციელდეს დისტანციურად, უზრუნველყოს მუშაობის ამგვარი მეთოდის გამოყენება;

- პერიოდულად, დღეში რამდენჯერმე უზრუნველყოს დახურული სივრცეების, სათავსების ბუნებრივი ვენტილაცია და სამუშაო ადგილების სველი წესით დასუფთავება და დეზინფექცია;

- მუშაობის მიმდინარეობისას, სამუშაო დროის განმავლობაში დააწესოს სანიტარული შესვენებები. გამოყოს პიროვნება ვინც დაამუშავებს სამუშაო სივრცეს შესაბამისი წესით;

- ეცადოს მოძებნოს ნაღდი ფულის გამოყენების შემცირების გზები. წაახალისოს დისტანციური გადახდები.

- შენობის შესასვლელებში განათავსოს დეზობარიერები, შესაბამისი სავალდებულო ნიშნის მითითებით;

- თვალსაჩინო ადგილას განათავსოს ხელის ჰიგიენური საშუალებები და მათი სწორად მოხმარების წესები;

- დარწმუნდეს, რომ დასაქმებულებს აქვთ წვდომა ხელის ჰიგიენურ საშუალებებთან (მათ შორის თხევად საპონთან და ქაღალდის ხელსახოცებთან) და სახის ნიღბებთან;

- უზრუნველყოს გამოყენებული ჰიგიენური საშუალებები განათავსება დახურულ კონტეინერებში და მათი დროული გატანა შენობიდან, შესაბამისი პირის/სამსახურის მიერ;

- უზრუნველყავთ მობილური/ქალაქის ტელეფონის გამოყენების შემთხვევაში მისი პერიოდული დამუშავება შესაბამისი წესით.

- შეზღუდოს მომხმარებლების დიდი რაოდენობით დაშვება ფილიალებში. დააწესეოს კონტროლი და შეიმუშავოს შესაბამისი სქემა მომხმარებელთა ნაკადის ეტაპობრივ დაშვებაზე;

- სამუშაო მაგიდებზე, იქ სადაც დასაქმებულს უწევს კონტაქტი ვიზიტორთან, დაამონტაჟოს გამჭვირვალე დამცავი ბარიერი, რათა მაქსიმალურად იქნას აცილებული წვეთოვანი გზით ინფიცირების რისკი ან უკიდურეს შემთხვევაში თანამშრომლები უზრუნველყოს სახის ფარით, ხელთათმანითა და შესაბამისი სამედიცინო ნიღბით;

- დასაქმებულები უზრუნველყოს შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით

- ვიზიტორთა შორის დისტანციის დასაცავად გამოიყენოს სავალდებულო პირობითი ნიშნები (იატაკზე, კედელზე, ან სხვა თვალსაჩინო ადგილებზე შესაბამისი სტიკერების/ნახაზების სახით);

*დანართი №4*

## ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტი

**ახალი კორონავირუსით (Sars-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) პრევენციასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი**

**/ _____/ 20/** **კორპუსი # სართული #**

**ინსტრუქცია:** ივსება ყოველდღე

| **საკითხი** | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საინფორმაციო დაფა(ებ)ზე<br><br>გამოკრულია ინფორმაცია | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| დეზობარიერ(ებ)ი განთავსებულია, გაჟღენთილია შესაბამისი ხსნარით | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| დეზობარიერის აღმნიშვნელი სტიკერი გამოკრულია | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 2 მეტრიანი დისტანციის აღმნიშვნელი სტიკერი გამოკრულია | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| სპირტის შემცველი ხსნარი ხელმისაწვდომია<br><br>და შევსებულია | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| დახურულ ურნებში ჩაფენილია ცელოფანი და სავსე არაა | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |